პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 157 (12669)

პარასკევი, 5 ივლისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

4 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ მოსკოვს დაბრუნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, სადაც მეგობრობის ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის 70 წლისთავის გამო.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სემიჩასტნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ყოფილების გამგე ვ. ნ. მალინი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ტ. სერდიუკი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში რუდოლფ დელინგი მეუღლითურთ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

მშვიდობის საზღვარზე

ნ. ს. ხრუშჩოვი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ოდერის ფრანკფურტი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ულბრიხტი, ი. ცირანკევიჩი და მათი თანმხლები პირები, რომლებიც აქ იმყოფებიან, წავიდნენ ნახევარგამტარების ქარხანაში.

ქალაქის გარეუბანი მარკენდორფი. აქ აღმართულა ახალი საწარმოს კორპუსები. ქარხანაში შრომობს ორიათასიანი კოლექტივი, მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის წევრები.

ქარხნის ჭიშკარზე წიოელი ქსოვილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ საწარმოს ეზოში შეკრებილმა მუშებმა გულითადი შეხვედრა მოუწყვეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ვ. ულბრიხტსა და ი. ცირანკევიჩს. სტუმრებს მიესალმნენ ქარხნის დირექტორი რ. შმიდტი, ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი ფ. კერი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ახალგაზრდა მუშა-ქალებმა მათ მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

სტუმრები წავიდნენ შენობაში, სადაც გახსნილია რადიოტექნიკური მრეწველობის ნიმუშების გამოფენა. დირექტორმა უამბო სტუმრებს, თუ როგორ ვითარდება ქარხანა, რა როლს ასრულებს საწარმო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. იწყება საწარმოს დათვალიერება. ნ. ს. ხრუშჩოვი დიდად დაინტერესდა წარმოების ორგანიზაციით, იგი მივიდა მუშებთან, ესაუბრა მათ, დათვალიერა პროდუქციის ნიმუშები. ყველაზე ძვირფას სტუმრებს ხვდებოდნენ მჭუხარე ტაშით, შეძახილებით „მეგობრობა!“.

საამქროების დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა:

„შესანიშნავი სოციალისტური ქარხანაა, და უშვებთ მეტად საჭირო პროდუქციას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, მისცეთ თქვენს ქვეყანას სულ უფრო მეტი, იაფი და უკეთესი პროდუქცია.

1963 წლის 3. VII

ნ. ს. ხრუშჩოვი“.

საპატიო სტუმართა წიგნში ხელი მოაწერეს აგრეთვე ვალტერ ულბრიხტმა და ი. ცირანკევიჩმა.

შემდეგ გაიმართა შეხვედრა წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან, აგრეთვე რესპუბლიკის მთელი რიგი ოლქებიდან ჩამოსული ელექტრონული ტექნიკის სპეციალისტებთან.

საუბრის დროს სიტყვები წარმოთქვეს ვალტერ ულბრიხტმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და წარმოების თანამშრომლობას. ნ. ს. ხრუშჩოვმა ქარხნის კოლექტივს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები — ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი და რადიოლა.

საწარმოს კოლექტივმა გულითადად გააცილა ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ულბრიხტი და ი. ცირანკევიჩი. მათ მიართვეს სამახსოვრო საჩუქრები.

19 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ულბრიხტი და ი. ცირანკევიჩი მივიდნენ მოედანზე რატუშის წინ, სადაც გაიმართა სამი მოძმე ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის დიდი მიტინგი. მოედანზე შეიკრიბა 70 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრი პოლონელი მოქალაქე, რომლებიც მეზობელი მოძმე ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. შეკრებილნი მისასალმებელი შეძახილებით, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, ვ. ულბრიხტს, ი. ცირანკევიჩს, როცა ისინი ტრიბუნაზე ავიდნენ, გრიალებს მეგობრობის სალუტი, შეკრებილნი მღერიან რევოლუციონერ მუშათა სიმღერას, „მედგრად, ამხანაგებო...“

მიტინგის მონაწილეთა, ოდერის ფრანკფურტის ყველა მცხოვრების სახელით ძვირფას სტუმრებს მიესალმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ოდერის ფრანკფურტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. მიუკენბერგერი.

გერმანელმა პიონერებმა სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ე. მიუკენბერგერმა თავის მოკლე გამოსვლაში ერთხელ კიდევ გულითადად მიულოცა ვ. ულბრიხტს 70 წლისთავი.

სიტყვას ამბობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი. იგი მხურვალედ მიესალმება ყველა შეკრებილს და ამბობს, რომ მიტინგი გამოხატავს საბჭოთა კავშირის ხალხების, პოლონეთის ხალხის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისა და გერმანელი ხალხის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ურღვევ მეგობრობას.

3. ულბრიხტი შეეხო წინადადებებს, რომლებიც გუშინ ჩამოაყალიბა ბერლინში გამართულ მიტინგზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წინადადებანი სავსებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

დღეს ოდერზე ვაცხადებთ, რომ ვეს-წრაფვით მშვიდობას, და ამით მხარს ვუჭერთ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს, თქვა ვ. ულბრიხტმა.

იგი ამბობს, რომ მიღებულია გადაწყვეტილება გაფართოვდეს მეტალურგიული კომბინატი „ოსტი“, რომელიც ოდერის ფრანკფურტის ოლქის ტერიტორიაზეა. მალე ოდერს მიაღწევს ნავთობსადენი „მეგობრობა“ და აქ შეიქმნება ქიმიური მრეწველობის ახალი ცენტრი. ეს მოწმობს ძმურ მეგობრობასა და დახმარებას საბჭოთა კავშირის მხრივ.

ვალტერ ულბრიხტი შემდეგ შეეხო გერმანიის გაერთიანების გზებს და გამოთქვა რწმენა, რომ ერთობის საკითხი გადაიჭრება. ეს გერმანია იქნება ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, სოციალისტური გერმანია.

ვალტერ ულბრიხტმა შემდეგ ილაპარაკა ძმურ, ურღვევ მეგობრობაზე, რომელიც აკავშირებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას. ჩვენ, ხაზი გაუსვა ორატორმა, კვლავაც განვამტკიცებთ ამ მეგობრობას ჩვენი ორი ხალხის ინტერესებისათვის, მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებისათვის.

რაც შეეხება ოდერ-ნოისეს საზღვარს, ამ საზღვრის ურღვევობა უზრუნველყოფილია, ეს ყველამ იცის. რევანშისტები ვერასოდეს ვერ შეცვლიან ამ საზღვარს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვარშავის ხელშეკრულების ყველა სახელმწიფოსთან ერთად იცავს მას.

ვალტერ ულბრიხტის სიტყვის დროს არა ერთგზის გაისმა მხურვალე ტაში და მოწონების შეძახილები.

მიკროფონთან მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ. მან მადლობა გადაიხადა მიტინგზე მიწვევისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა გერმანიის მუშათა კლასის ძველ გვარდიას, პოლონეთის მუშათა კლასის ძველ გვარდიას.

რა მწვერვალები დაიპყრო მუშათა კლასმა! ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. ახლა მუშათა კლასი მარტო რევოლუციურ სიმღერას როდი სჯერდება. არა. ახლა მუშათა კლასს აქვს ძალა და სიმძლავრე, შრომითა და შეიარაღებული ძალებით განამტკიცებს თავის ლოზუნგებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიყოთ კომუნისტი, ხოლო შემდეგ გერმანელი, პოლონელი, რუსი. იგი მოუწოდებს დამსწრეთ ერთგულად ემსახურონ მუშათა კლასს.

ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ერთიანი გერმანული რესპუბლიკა სოციალისტური რესპუბლიკა იქნება.

კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, უაღრესად ბრძნული ლოზუნგი მოგვცეს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ უნდა გავუფრთხილდეთ ამ პროლეტარულ ლოზუნგს, განაგრძო მან, ჩვენ პრაქტიკულად უნდა გამოვეჭედოთ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მეგობრობა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა წინადადება, რომ მშვიდობის საზღვარზე შეხვედრები ტრადიციული გახდეს. ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგ თქვა, რომ სოციალისტური ქვეყნები თანამიმდევრულად იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ. მუშათა კლასი თავის სამყაროს, კომუნისტურ სამყაროს ომით კი არ იპყრობს, არამედ კლასობრივი ბრძოლით. ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს კაპიტალისტური ქვეყნების მებრძოლ მუშათა კლასს, მაგრამ საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში არ ჩაერევა. სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევა უკვე ომია სახელმწიფოთა შორის, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ, ძმურ მეგობრობას, გამარჯვება უსურვა კომუნიზმს.

მიკროფონთან მივიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი. აქ, ოდერის ნაპირებზე, თქვა მან, ჩვენ ერთად ვშრომობთ და ჩვენი თანამშრომლობა დღითიდღე ვითარდება. ი. ცირანკევიჩმა მხარი დაუჭირა ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას, რომ ასეთი შეხვედრები მშვიდობის საზღვარზე ტრადიციული გახდეს.

ი. ცირანკევიჩი მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვის მშვიდობიან ინიციატივას, მის წინადადებებს, რომ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა და დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს შორის.

ი. ცირანკევიჩმა თქვა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის უდიდესი ამოცანაა მშვიდობის დაცვა. ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო საშინაო განვითარებას დასავლეთ გერმანიაში, სადაც რევანშისტები ესწრაფვიან ატომურ იარაღს. ი. ცირანკევიჩი შეეხო პრეზიდენტ კენედის ვიზიტს დასავლეთ გერმანიაში და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ ვიზიტმა წაახალისა რევანშისტული ელემენტების საქმიანობა.

ი. ცირანკევიჩმა შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის პრობლემა უნდა გადაიჭრას გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების გზით და რომ ამით გადაიჭრება დასავლეთ ბერლინის პრობლემაც. მან მოიგონა დამსწრეთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება უატომო ზონის შექმნის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ წინადადების განხორციელება მშვიდობის ზონად გადააქცევს მთელ გერმანიას.

პოლონელი და გერმანელი ხალხების მეგობრობა, მთელი სოციალისტური ბანაკის ერთობა ყველაზე დიდი წვლილია მშვიდობის უზრუნველყოფაში, თქვა მან.

მიტინგის მონაწილეებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს ი. ცირანკევიჩი.

დასასრულ ე. მიუკენბერგერმა მადლობა გადაუხადა ვ. ულბრიხტს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ი. ცირანკევიჩს. მოედანზე იგრიალა ოვაციამ. ათეულ ათასობით ადამიანი მიესალმა სამი მოძმე სახელმწიფოს წარმომადგენლებს, რომელთა ხალხები მტკიცედ დგანან მშვიდობის საგუშაგოზე.

გულთბილი შეხვედრა

ბერლინი, 4 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა, რომელიც მასთან ერთად სტუმრად არის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გუშინ შეხვდა გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წარმომადგენლებს. მასთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის მეუღლე ლოტა ულბრიხტი.

გერმანელი ქალები მხურვალედ მიესალმნენ ნინო პეტრეს ასულ ხრუშჩოვას და გულითადად მიულოცეს მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსში გაფრენა.

შეხვედრის დროს ნ. პ. ხრუშჩოვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით გადაეცა მთავრობის ჯილდო — კ. ცეტკინის მედალი.

ამ შეხვედრამ, რომელიც ბერლინის გარეუბნის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილას — მიუგელზეეს ტბის ნაპირას გაიმართა, გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბერლინიდან გამოემგზავრა

ბერლინი, 4 ივლისი. (საკდესი). ბერლინიდან სამშობლოში გაემგზავრა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა ვალტერ ულბრიხტის დაბადების 70 წლისთავის დღესასწაულის გამო.

შენეფელდის აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს ვალტერ ულბრიხტმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

ათი ათასობით ბერლინელი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რათა გზა დაელოცათ ძვირფასი სტუმრისათვის. ისინი მთელ გზაზე — რეზიდენციიდან აეროდრომამდე — გულთბილად მიესალმებოდნენ ღია მანქანით მიმავალ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ვ. ულბრიხტს.

აეროდრომზე ვალტერ ულბრიხტმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ვ. ულბრიხტი გულითადად გამოემშვიდობა ნ. ს. ხრუშჩოვს და აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი ყოფნის დღეები საბჭოთა კავშირის ხალხებისა და გერმანელი ხალხის გულითადი მეგობრობის დღეები იყო.

თავის სიტყვაში ვ. ულბრიხტმა დიდი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და ნ. ს. ხრუშჩოვს მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართული წინადადებებისათვის, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა თავის სიტყვაში ბერლინში გამართულ მიტინგზე.

საპასუხო სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გამოთქვა იმ მიღებისათვის, რომელიც მას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოუწყვეს.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომ განმტკიცდეს მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის, ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის.

„ფროინდშაფტ!“, — წარმოთქვა დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა გერმანულ ენაზე. პასუხად აეროდრომზე შეკრებილი ბერლინელები ერთხმად გაიძახიან რუსულ ენაზე: „მეგობრობა!“.

ზუსტად 12 საათსა და 18 წუთზე თვითმფრინავი ჰაერში ავიდა და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო.

ალჟირის სახელოვან ხალხს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სახალხო-დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს აჰმედ ბენ ბელას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა დამოუკიდებელი ალჟირის სახელმწიფოს არსებობის პირველი წლისთავის გამო. ნ. ს. ხრუშჩოვი ალჟირის სახელოვან ხალხს ეროვნული დღესასწაულის დღეს უსურვებს ბედნიერებას და შემდგომ წარმატებებს მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობაში, თავისი სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებაში. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო! სულ ათი დღე გავიდა, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. ეს იყო თვალსაჩინო მოვლენა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომლებსაც დიდი ინტერესით და მხურვალე მოწონებით შეხვდა საბჭოთა ხალხი, უდიდესი შემოქმედებითი ძალები და ენერგია შემატეს მშრომელ მასებს.

თუ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმებმა, რომლებიც სკკპ XXII ყრილობის შემდეგ გაიმართა, უდიდესი ორგანიზაციული მუშაობა შეასრულეს, სახალხო მეურნეობას მისცეს მართვის, დაგეგმვისა და ქმედითი კონტროლის სრულყოფილი, ცხოვრებისეული, ბრძოლისუნარიანი ფორმები და მეთოდები, ასეთივე დიდი და შემოქმედებითი მისია შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმაც იდეოლოგიის, კომუნისტური აღზრდის დარგში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ეს პლენუმი იმიტომ მოიწვია, რომ საჭირო გახდა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ანალიზი და იმის უზრუნველყოფა, რომ ეს მუშაობა შეესაბამებოდეს სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მოხდა.

ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის ვრცელ, ღრმად შინაარსიან და მკაფიო სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ილიჩოვის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში შეჯამებულია პარტიის საქმიანობის, ჩვენი ხალხის გმირული შრომის უკანასკნელი ათწლეულის ძირითადი შედეგები, ყოველმხრივ განხილულია იდეოლოგიური მუშაობის ყველაზე საარსებო ამოცანები ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პლენუმმა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამის გათვალისწინებით მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც განსაზღვრა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და კონკრეტული ამოცანები.

პლენუმმა მთელი დამაჯერებლობით უჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწევიან ჩვენი პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებების, მისი გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში ბრწყინვალე წარმატებით დაგვირგვინდა ახალი გრანდიოზული კოსმოსური ეპოპეა — ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ხანგრძლივი კოსმოსური ერთად ფრენა.

კოსმონავტ ვალერი ბიკოვსკისთან ერთად ორბიტაზე გაყვანილ იქნა ხომალდი, რომელსაც მართავდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა. საბჭოთა ადამიანების მიერ კოსმოსის წარმატებით ათვისება გასასახიერებს სოციალისტური წყობილების ძლიერებას, ცხადყოფს ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დიდ წარმატებებს.

პარტიამ ამხილა და უარყო სტალინის პიროვნების კულტი და აღმოფხვრა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევა, სუბიექტივიზმი და დოგმატიზმი ეკონომიკაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში და ფართო გასაქანი მისცა ხალხის მასების ინიციატივასა და აქტივობას.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ განვლილი ათწლეულით. ეს იყო წლები, რომლებიც აღინიშნა შესანიშნავი გამარჯვებებით პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფ განვითარებასა და აყვავებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მრავალი საკითხის შემოქმედებითად დამუშავებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებაში.

ჩვენი სამშობლო დიად ლაშქრობაშია, აჩაღებს გადამწყვეტ ბრძოლას კომუნიზმისათვის. მოგაგონებთ მხოლოდ ზოგიერთ ციფრს, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკისა და კულტურის ზრდას განვლილ ათ წელიწადში. ერთისამად გაიზარდა მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება და 67 პროცენტით — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. ათ წელიწადში ორნახევარჯერ გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, საქონელბრუნვა კი — 2,6-ჯერ. ამ ხნის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა თითქმის ერთნახევარჯერ მეტი საცხოვრებელი სახლები, ვიდრე წინა 35 წელიწადში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ზრდის ასეთი მაღალი ტემპები მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ სცოდნია.

როგორ ვითარდებოდა ამ ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკა?

ეს იყო დიდი გარდაქმნების წლები! ათი წლის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 2,1-ჯერ. ეს ზრდა შეიძლება შევადაროთ იმას, რომ ნაცვლად ერთი სამრეწველო საქართველოსი ორი საქართველო გახდა. ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა ქვეყნად, რომელიც აწარმოებს ისეთ რთულ მანქანებს, როგორიც არის სამაგისტრალო ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, რთული ხელსაწყოები. დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. ამ წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ განუხრელად ხორციელდება ლენინური ეროვნული პოლიტიკა, იმას, რომ უანგარო დახმარებას გვიწევს საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხი და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხი.

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი ნახევრის გეგმა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მუშათა კლასმა შეასრულა ღირსეულად, ვადამდე. სამშობლომ მიიღო დამატებით ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია.

ამხანაგებო! იდეოლოგიური ფრონტი იყო, არის და მუდამ იქნება კომუნიზმისათვის ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი გადამწყვეტი უბანი.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა ახალი საზოგადოების გარდაქმნის პროცესთა მძლავრი აძრავია.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, ხოლო გამოცდილება ადასტურებს, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ხალხის შესანიშნავი გამარჯვებები, რომ არ ყოფილიყო პარტიის ყოველდღიური და მიზანსწრაფული იდეოლოგიური მუშაობა. გმირულ საქმეებს მხოლოდ დიადი იდეები წარმოშობენ. მაღალი შეგნებულობა განმსაზღვრელი ფაქტორია კომუნისტური მშენებლობის დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ამ ბოლო წლებში ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიურ მუშაობას. პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებზე, სკკპ ახალ პროგრამაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში დაისახა და გადაიჭრა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ სოციალიზმის მტრები — იმპერიალისტები უბრძოლველად არ დათმობენ თავიანთ პოზიციებს, ჩვენს მტრებს კი დღეს უკვე შეგნებული აქვთ, რომ ვერ მოსპობენ საბჭოთა კავშირს და ვერ დაგვაკაბალებენ ეკონომიურად. ამიტომ ისინი მუხანათურად მიმართავენ იდეოლოგიურ დივერსიებს. მათ წამოაყენეს აშკარად ავანტიურისტული ლოზუნგი: „შეიჭრან კომუნისტური იდეოლოგიის შიგ გულში“.

ამ მიზნით იმპერიალიზმის იდეოლოგებმა განიზრახეს თავს მოგვახვიონ იდეოლოგიების მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა. მათ მოინდომეს მიაღწიონ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ლეგალურად წარმოებდეს ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობა ის ტროას ცხენია, რომლის შემოპარება უნდოდათ ჩვენს სოციალისტურ ბანაკში ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს.

მაგრამ პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე ამხილეს მტრის ვერაგული ოინები. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვას: „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა“, რაც შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ იდეებს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების, პარტიულობის, ხალხურობის, რევოლუციური ტრადიციების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მას შემდეგ, რაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები შეხვდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ყველგან გაიმართა მრავალრიცხოვანი კრებები და შეხვედრები, გაიმართა დიდი სჯა-ბაასი ხელოვნების ხალხურობისა და პარტიულობის შესახებ, გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გზების შესახებ. ჩვენთან, საქართველოში, მოეწყო შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკური თათბირი, გაიმართა იდეოლოგიური ზონალური თათბირები, აგრეთვე ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი. თათბირებმა და შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ ჩვენს ინტელიგენციას სწორად ესმის მის წინაშე დასახული ამოცანები და თავისი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე.

საკადრისი პასუხი მიიღეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ჰამენ ხალხის შრომით მოპოვებულ პურს და აქვე ურცხვად, უსინდისოდ ლაძღავენ ჩვენს სინამდვილეს, ტალახში სვრიან მას და ცინიკურად უწოდებენ თავის ნათითხს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს.

იმპერიალისტები იმედს ამყარებენ უმწიფარ ადამიანებზე, აწვდიან მათ იდეებს „ორი იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობის“, „აბსოლუტური თავისუფლების“, „შემოქმედების არაპარტიულობისა და წმინდა ხელოვნების“ შესახებ და ამით სინამდვილეში ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ ყველაზე აღვირახსნილ დივერსიულ იდეურ ომს.

კომუნისტური პარტია მუდამ იბრძოდა და იბრძოლებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელყოფს ჩვენი იდეების სიწმინდეს, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს. პარტია აწარმოებდა და კვლავაც აწარმოებს შეტევას ფართო იდეო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

გადავხნათ და მოვახდინოთ პლანტაჟი ნიადაგის უკანასკნელი ნაშთებისა, რომლებიც წარმოშობენ ჩვენი საზოგადოებისათვის ამ უცხო მოვლენებს.

ახალი ადამიანი იწრთობა აქტიურ შრომაში საზოგადოების საკეთილდღეოდ. შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა კომუნისტური აღზრდისათვის მთელი მუშაობის არსი და გულია.

პარტიის დიდ და დაუცხრომელ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს ახალი ადამიანის აღზრდა, რომელიც შრომას, თავის მოვალეობას საზოგადოებაში კომუნისტურად მოეკიდება.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ადამიანებს განუმარტონ, თუ რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს მათს შრომას, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის შრომითი და შემოქმედებითი მეცადინეობის ნაწილს, როგორც მათს წვლილს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

ამ მუშაობის უაღრესად მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური შრომისათვის მასობრივი მოძრაობის გაშლა.

ამ მოძრაობაში, რომელიც უკვე თითქმის ხუთი წელია არსებობს, მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მონაწილეობს ქალაქისა და სოფლის 200 ათასზე მეტი მშრომელი. კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდებისათვის იბრძვის 270 ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, მშენებლობა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საწარმო, 964 საამქრო, უბანი, განყოფილება და ფერმა, 10 ათასზე მეტი საწარმოო ბრიგადა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოების 16 ათასზე მეტმა მოწინავემ, ნოვატორმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. დღეს ჩვენ მივესალმებით პირველ საწარმოს, რომელსაც მიეკუთვნა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება — ჩაის საწონ ფაბრიკას.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა წარმოშობს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობის, მათი მასობრივი ინიციატივისა და შემოქმედებითი თაოსნობის უამრავ ფორმას.

თუ რა შედეგებს იძლევა ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის უნარიანი შეხამება, შეიძლება ცხადვყოთ ქალაქ თბილისის მსხვილი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მაგალითით. ამ რაიონში, რომლის მოსახლეობა 150 ათას კაცს შეადგენს, საწარმოები უშვებენ რესპუბლიკის მთელი სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს არის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების რაიონი. 1962 წელსა და 1963 წლის პირველ ნახევარში ამ რაიონის ყველა საწარმომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმები. ლენინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ახასიათებს მიზანსწრაფული იდეოლოგიური მუშაობა.

აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მთელი არსენალი გამოყენებულია ერთი მიზნისათვის — შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. რაიონში სერიოზული ყურადღება ექცევა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ხელმძღვანელობენ მეტალურგთა ქალაქ რუსთავის პარტიული ორგანიზაციები კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მოძრაობას. მიღებულ დადგენილებაში განზოგადებულია რუსთაველთა დადებითი გამოცდილება. სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის მცხოვრებნი ჩაებნენ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქის წოდებისათვის.

სამი წელი დიდი ვადა როდია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ შარშან მიაღწია შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მხრივ, ხოლო მილების წარმოების მხრივ მიმდინარე წელს მიაღწევს ამ მიჯნას.

კომუნისტურმა შეჯიბრებამ გააძლიერა ცოდნისადმი მისწრაფება. ქალაქში შეიქმნა კულტურის, ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელი, მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. რუსთავის ყოველი მესამე მცხოვრები სწავლობს და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში.

მაგრამ როცა რუსთაველთა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ითქვას იმაზეც, რომ ამ ქალაქში, რომელიც კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების, სანიმუშო კულტურის ქალაქის წოდებისათვის იბრძვის, ჯერ კიდევ ცოტა როდია შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა, გაფლანგვა, დატაცება; აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში.

პლენუმზე სამართლიანად გაგვაკრიტიკეს იმის გამო, რომ მიმდინარე წლის დამდეგს რესპუბლიკის საწარმოებში მკვდარ კაპიტალად იდო დაახლოებით 28 მილიონი მანეთის დაუდგმელი უძვირფასესი სამრეწველო მოწყობილობა. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით რუსთაველებსაც.

უკეთ როდია სამუშაო ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში. სადაც დაუდგმელი მოწყობილობის რაოდენობა 456 ერთეულს შეადგენს.

აღზრდის ყველა საშუალება უნდა დავუმორჩილოთ მთავარს — თვითეულ საბჭოთა ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ მისი ბეჯითი შრომით, მთელი ხალხის შრომით შეიძლება აშენდეს კომუნიზმი, აყვავებული საზოგადოება. ადამიანთა შეგნებული დამოკიდებულება შრომისადმი მისი ნაყოფიერების ზრდის დაუშრეტელი რეზერვია.

ამ ამოცანის შეგნება გვიჩვენეს აჭარის ასსრ სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ფატი წითელაძე. მათ ვალდებულება იკისრეს შრომის ორგანიზაცია ბრიგადებში იმ ფორმით ააგონ, რომლებიც შეიქმნა სახელმწიფო საწარმოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში. კოლმეურნეებმა წესად შემოიღეს საყვირის ხმაზე აუცილებლად გავიდეს სამუშაოდ ყველა შრომისუნარიანი. სამუშაოზე გამოუცხადებლობა ჩაითვალოს განსაკუთრებულ შემთხვევად. და ისინი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. მკვეთრად გაიზარდა ბრიგადაში ჩაის ფოთლის კრეფა. მათს მაგალითს ასობით კოლმეურნე ბაძავს.

ჩვენი სოფლის ადამიანთა მისწრაფება ლენინურად იბრძოლონ კომუნისტური იდეალებისათვის, სარკესავით ასახავს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას მთელ რიგ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციებზე. როგორც ცნობილია, პლენუმმა აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა სოფლად. მოვიყვან მაგალითს, რომელიც ადასტურებს ამ მდგომარეობას. 1961 წელს რესპუბლიკის შრომისუნარიან კოლმეურნეთა 7 პროცენტს მონაწილეობა არ მიუღია კოლექტიურ შრომაში. ჩვენ რომ კარგად გვემუშავნა, არ გაიზრდებოდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც არ მუშაობენ. 1962 წელს კი სამუშაოზე გაუსვლელობის პროცენტი რამდენადმე გაიზარდა.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1962 წლის ოქტომბერში. მაშინ კარგი გადაწყვეტილებები მივიღეთ. საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობის განვითარებაში თანაფარდობა რომ შეიცვალოს, შვიდწლედის დარჩენილ წლებში პლენუმის გადაწყვეტილებით უნდა გაშენდეს 63 ათასი ჰექტარი ვენახები, 51 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები, ათეულ ათასობით ჰექტარი ჩაის, ციტრუსების, დაფნისა და სხვა ძვირფასი კულტურების პლანტაციები. მრავალწლიანი ნარგავების გაშენების ასეთი მაღალი ტემპები ჯერ არ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში. მარტო მიმდინარე წელს უნდა გავაშენოთ 16.320 ჰექტარი ვენახები, 10.320 ჰექტარი ბაღები, 3.000 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, 680 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციები და 450 ჰექტარი დაფნის პლანტაციები. უნდა ვაღიაროთ, გეგმები დაძაბულია. მაგრამ სოფლის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი შეაგებინა კოლმეურნეებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანის გადაწყვეტას სოფლის მეურნეობისათვის, და ამის შედეგად ეს გეგმები დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება.

საწარმოო სამმართველოთა პარტკომები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხშირად ასახელებენ გამართული საუბრების, ლექციების, თემატური საღამოების, მკითხველთა კონფერენციების, კითხვა-პასუხის საღამოების მრავალი ნიშნა ციფრებს. ეს სწორია. მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას რესპუბლიკის სოფლებში სულ უფრო დიდი გაქანება ეძლევა, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების შემდეგ. მაგრამ პარტიული ხელმძღვანელები ხშირად ვერ ხედავენ იმას, რომ სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ახდენენ მუდმივ იდეოლოგიურ ზეგავლენას.

თუ ყურადღებით გავუკეთებთ ანალიზს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებითაც ხშირად გატაცებულია ზოგიერთი იდეოლოგიური მუშაკი, ძნელი არ იქნება გავარკვიოთ, რომ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებს ჩვეულებრივ აქტივის გარკვეულ წრეში. ერთი და იგივე პირები ესწრებიან ყველა კრებას, საღამოებს, ლექციებს, ხოლო მშრომელთა მნიშვნელოვანი ფენები გამორჩენილი არიან მხედველობიდან.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ საერთო, სტატისტიკურ მიდგომას იდეოლოგიური მუშაობის დონის შეფასებისადმი. აღრიცხვა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ციფრები არ უნდა მალავდეს ადამიანს, მის მოთხოვნებს, საზრუნავს, სულიერ მისწრაფებებს, უნდა ვიცოდეთ მისი განწყობილება, პოლიტიკური შეგნებულობის დონე, მისი შრომითი აქტივობა.

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენში სოფლად საერთოდ სუსტად წარმოებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. არა! სოფლადაც არიან იდეოლოგიური მუშაობის ენთუზიასტები. იქ ბევრი მნიშვნელოვანი, საინტერესო ღონისძიება ხორციელდება. ოღონდ საჭიროა, რომ ამ ღონისძიებებში ფართოდ იღებდეს მონაწილეობას, მხარს უჭერდეს სოფლის ყველა პარტიული ორგანიზაცია.

მაგალითად, მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფლის კომუნისტთა ინიციატივით სოფლად გაიშალა სასარგებლო მოძრაობა. მახარაძელებმა გადაწყვიტეს უახლოეს 3-4 წელიწადში ყველა კოლმეურნე შეაიარაღონ დაწყებითი ეკონომიური ცოდნით. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს მთელ რიგ სხვა რაიონებში.

დიდად საინტერესოა ინიციატივა მთელი რიგი ჩვენი სასოფლო პარტკომებისა, რომლებიც ფართოდ აბამენ საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ნოვატორებს, ჩვენს შუქურებს.

ახლა ჩვენი მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მოკრიფონ 180 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე შარშანდელი სარეკორდო ზოსავალი. სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მერგოლურის ეთერ ნიკოლაიშვილის ინიციატივით მეჩაიეებში დაიწყო მოძრაობა იმისათვის, რომ მოწინავეთა მაჩვენებლებს მიაღწიოს ყველა კოლმეურნემ. ჯერ კიდევ შარშანწინ ეთერ ნიკოლაიშვილის რგოლში მარტო მან მოიყვანა უხვი მოსავალი. შარშან კი, მისი დახმარებით, მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია რგოლის ყველა წევრმა. წელს ბევრმა ბრიგადამ ნიკოლაიშვილის მოწოდებით ვალდებულება იკისრა მოწინავე მაჩვენებელთა დონემდე აიყვანოს ბრიგადის ყველა წევრის შრომის შედეგები.

პლენუმმა ყველა პარტიულ კომიტეტსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მოსთხოვა უზრუნველყონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის განუყრელი კავშირი სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებათა კოლექტივებს კონკრეტულ ამოცანებთან, აღმოფხვრან ფორმალიზმი, უსულგულობა და კაზიონურობა, აწარმოონ დიფერენცირებული პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, კოლექტივის ყველა წევრი აღზარდონ შრომის საუკეთესო ნიმუშებზე, ფართოდ გაავრცელონ მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა გამოცდილება, განავითარონ ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების გრძნობა.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს პარტიული პროპაგანდის გავლენის გაზრდისა და ლენინის ენის შესწავლას, რომელიც მეორე მშობლიური ენა ხდება თვითეული ხალხისათვის.

ამხანაგებო! პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანა — ჩამოაყალიბონ საბჭოთა ადამიანები მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და კომუნისტური მორალი. ამ მიზანს ხელს უნდა უწყობდეს პრესა იმით, რომ სისტემატურად და ღრმად აშუქებდეს პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მუშაობას სახალხოსამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, წარმოების პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი პრესა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკური პრესაც, რომელმაც მწვავე და პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა გაშალა უძრაობის, ბიუროკრატიზმის, მფლანგველობის, მუქთახორობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ, ფართოდ ავრცელებს მოწინავე გამოცდილებას და ამით უდიდეს გავლენას ახდენს მასების კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა ის გაზეთები და ჟურნალები, რომელთა მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე წარმოებს და რომლებსაც უნარი არ შესწევთ გამოხანონ და მწვავედ დააყენონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ძირეული საკითხები, გამოავლინონ თავისუფალი შრომის ნამდვილი სილამაზე, გააკრიტიკონ ის, რაც ხელს უშლის საბჭოთა ადამიანებს იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად.

ჩვენში გამოდის 16 სასოფლო გაზეთი, რომლებიც მოწოდებული არიან ყოველმხრივ გააშუქონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა სამმართველოს მუშაობა. გაზეთი „გამარჯვება“, რომელიც გორში გამოდის, ემსახურება ორ დიდ სამმართველოს — გორისა და ხაშურის სამმართველოებს, მაგრამ ამაოდ დაუფუყებთ ძებნას მის ფურცლებზე აქტუალურ მასალებს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის სპეციალისტების შემოქმედებითი შრომის შესახებ. სამაგიეროდ უხვად იბეჭდება მხატვრულად სუსტი მოთხრობები, ნოველები, ზოგჯერ კი ასეთ მარგალიტებსაც შეხვდებით:

ახლა სანთლები თვითონ
ლოცულობენ,
ლოცვებად დაიღვარნენ
სანთლები,
უსმინე, სიყვარული თუკი
არსებობს,
სანთლები არიან ყველაზე
მართლები.
პირველად მესმის სანთლების
ლოცვა და
გადამრევს ყვითელი
ცრემლები,
რაღა ვეღრება...
ლოცვას ისმენ და
სანთლების სიყვარულით
ღმერთდები...

შეიძლება ვკითხოთ გაზეთის რედაქტორს ამხ. მახარობლიძეს, რანაირად უწყობს ხელს ეს „ყვითელი ცრემლები“ და „ლოცვებად დაღვრილი სანთლები“ იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც პარტიამ დასახა?!

პლენუმმა დაადგინა — გარდაიქმნას ცენტრალურ და ადგილობრივ გამომცემლობათა ქსელი, ამასთან მხედველობაში ჰქონდა უწყებრიობისა და კუთხურობის ლიკვიდაცია წიგნების გამოცემაში, მსხვილ სპეციალიზებულ გამომცემლობათა შექმნა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიმართულებით განახორციელა მთელი რიგი კარდინალური ღონისძიებანი, რომლებმაც დადებითი შედეგები გამოიღო. მაგრამ ჩვენს გამომცემლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. საზოგადოებრიობა სამართლიანად აკრიტიკებს ბევრ მონოგრაფიას, ბროშურასა და კრებულს დაბალი თეორიული დონისათვის, კომპილაციური ხასიათისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის.

ბევრი წიგნი ისე გამოდის, რომ გათვალისწინებული არ არის მოსახლეობის მოთხოვნილება, და ჩაწოლილია „საქწიგნის“ მაღაზიებისა და ბაზების წიგნის თაროებზე. მაგალითად, რესპუბლიკის გამომცემლობებმა მარტო უკანასკნელ ხანს გამოუშვეს 63 წიგნი საქართველოს კურორტების შესახებ. ღირებულება წიგნებისა, რომლებიც შინაარსობრივად მოძველდა ან რომლებმაც საქონლის სახე დაკარგა შეუფერებელ სარდაფებში შენახვის გამო, უზარმაზარ თანხას შეადგენს — დაახლოებით 1.800 ათას მანეთს. ასეთ დამოკიდებულებას ხელმძღვანელთა პარტიულობასთან და კეთილსინდისიერებასთან საერთო არა აქვს რა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი მოგვიწოდებს საბრძოლოდ გამზადებული გვქონდეს ყველა სახეობის იდეური იარაღი. ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია საბჭოთა სკოლა. სადაც სწავლობს და იზრდება მოზარდი თაობა, სადაც საფუძველი ეყრება ჩვენი ბავშვების ცოდნას, სადაც ყალიბდება ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ხასიათი.

სწავლება და აღზრდა ერთიანი პროცესია, რომელიც ამზადებს ახალგაზრდობას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული გარკვეული დაშორიშორება მოსწავლეთა სწავლასა და აღზრდას შორის. ჩვენში არიან პედაგოგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი საქმეა მხოლოდ ასწავლონ ბავშვებს, ხოლო რაც შეეხება აღზრდას, ამაზე შობლებმა იფიქრონონ. ეს მეტად მავნე, უკაცრავად პასუხია, „თვალსაზრისია“. ისეთივე მავნე, როგორც აზრი ზოგიერთი მშობლისა, რომლებიც ცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისათვის სკოლას დააკისრონ.

ოჯახსა და სკოლას ყოველთვის მჭიდრო, ურღვევი კავშირი უნდა ჰქონდეთ, ისინი ხელიხელჩაკიდებული უნდა აკეთებდნენ ერთ საერთო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს — ზრდიდნენ მოზარდ თაობას.

ცნობილია, თუ რა ადგილი უჭირავს ახლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას მოსწავლეთა აღზრდის საერთო სისტემაში. ჩვენ შეგვიძლია დღეს მტკიცე რწმენით ვთქვათ, რომ მუშაობამ, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა ცხოვრებას თან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონთან დაკავშირებით, უკვე მოიტანა დადებითი შედეგები. გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება საწარმოო ჩვევების დაუფლებისადმი, დიდი ნაბიჯი გადაიდგა ცხოვრებასთან სკოლის მიახლოების საქმეში. სწავლებისა და შრომითი აღზრდის ნაყოფიერი შეხამების შედეგებზე შეიძლება ვიმსჯელოთ თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მაგალითით, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს ასპროცენტიან წარმატებას მიაღწია, ამასთან მოსწავლეთა 34 პროცენტი „ფრიადზე“ და „კარგზე“ სწავლობს. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სკოლამ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებაშიც, რის შედეგად მოსწავლეები იძენენ მტკიცე შრომითს ჩვევებს. და, რა თქმა უნდა, შეშთხვევითი როდია, რომ ყოველ წელს იზრდება მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც სამუშაოდ რჩებიან იმავე საწარმოში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიოდნენ.

ასეთი სკოლები საქართველოში ცოტა როდია. მათი მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, თუ რა დიდ წარმატებებს შეიძლება მივაღწიოთ, თუ უნარიანად შევუხამებთ ერთმანეთს სწავლებასა და ნაყოფიერ შრომას.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ ჩვენს სკოლაში საწარმოო სწავლება პრიმიტიულად, ფორმალურად არის დაყენებული. ჩვენმა სამეურნეო, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა სახელმწიფო წესრიგი უნდა დაამყარონ მოსწავლეთა შრომითს აღზრდაში.

სკოლის ზოგიერთი მუშაკი, რომელსაც ბოლომდე ვერ შეუგნია საბჭოთა სკოლის გარდაქმნის ღრმა აზრი, ძირითად ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა საწარმოო საქმიანობას, მხედველობიდან უშვებს ისეთ დიდმნიშვნელოვან მხარეს, როგორიც არის მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი. ამან ის გამოიწვია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მოსწავლეთა აკადემიურმა წარმატებამ იკლო, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორიც არის მათემატიკა და ფიზიკა.

ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ჩვენი ბავშვები ხელგაუძრავი ადამიანები გამოვიდნენ. მაგრამ ამავე დროს გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ჭკვიანი, დიდად განათლებული, მცოდნე იზრდებოდეს. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ ბეჯითი და გულმოდგინე სწავლით.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი სტუდენტობის იდეურ აღზრდას. მნიშვნელოვნად მაღლდება ამ საქმეში უმაღლეს სასწავლებელთა როლი, რომლებიც მოწოდებული არიან მომამზადონ მაღალკვალიფიციური კადრები ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის.

საქართველომ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია უმაღლესი განათლების განვითარებაში. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, არამედ მაღალი კომუნისტური შეგნების მქონე სპეციალისტები, მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობის ადამიანები, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მკაფიო გამომხატველნი.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციის გაუმჯობესების აუცილებლობასთან ერთად საჭიროა მეტი დრო დაეთმოს მათს დამოუკიდებელ სასწავლო და მეცნიერულ მუშაობას, აღმოიფხვრას სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელობების შინაარსის ჩამორჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონისაგან. საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდას. ამისათვის, მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭიროა გაუმჯობესდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება, უნდა აღმოიფხვრას სქოლასტიკის, მედავითნეობის, ფორმალიზმის ელემენტები. ამასთან დაკავშირებით დიდი და პასუხსაგებია სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების კათედრების მუშაკთა როლი. ჩვენ კი გვაქვს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ სწორედ ამ საგნებს ზოგიერთი მასწავლებელი კითხულობს დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე, ცხოვრებისაგან მოწყვეტით, მშრალად, უინტერესოდ, უსულგულოდ. სემინარული მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებს სკოლარული მეთოდებით და ვერ აკმაყოფილებს სტუდენტებს. საჭიროა ვიზრუნოთ მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მათი ცოდნის დონის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ იცოდნენ სტუდენტებთან შემოქმედებითი მუშაობა, ჩაუნერგონ სტუდენტებს სიყვარული რევოლუციური თეორიისადმი, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისადმი.

სახელოვანმა საბჭოთა ახალგაზრდობამ თავისი შესანიშნავი პატრიოტული საქმეებით მთელი ჩვენი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბევრი სახელოვანი პატრიოტული საქმეა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ანგარიშზე. იგი თავდადებით შრომობს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ქალიშვილები და ჰაბუკები, რომლებიც არცხვენენ ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის მაღალ წოდებას. ესენი არიან მუქთახორები, უსაქმურები, ზარმაცები — ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას, ივიწყებენ, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება ადამიანი არ შრომობდეს, რომ უნარის მიხედვით შრომა გადაიქცევა საზოგადოების ყველა წევრის ჩვევად, უპირველეს საარსებო მოთხოვნილებად.

ჩვენს ახალგაზრდობაში არიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნიც, ადამიანები, რომლებიც ამორალურად იქცევიან. ასეთი ახალგაზრდების წინააღმდეგ უნდა დავრაზმოთ საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა, სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ისინი, ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ მიწა იწვოდეს მათ ფეხქვეშ.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ მეცნიერების გამოყენება საზოგადოების საწარმოო ძალების მძლავრი ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. მეცნიერების განვითარება და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვა კვლავაც იქნება პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

პარტია ამჟამად უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერების როლს ხალხის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მის იდეურ აღზრდაში.

სერიოზული ამოცანები ისახება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების წინაშე, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში, შეადგენენ საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ჩვენს ეკონომისტებს, ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა მუშაკებს უსახავს სერიოზულ ამოცანებს: ა) შეისწავლონ ცხოვრების სიღრმისეული პროცესები, ბ) განაზოგადონ მა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

სების ისტორიული გამოცდილება, გ) გამოიკვლიონ საზოგადოებრივი განვითარების კანონები, დ) რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეიმუშაონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში მათი რეალიზაციის გზები და მეთოდები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სუსტად ამუშავებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ისტორიას, განსაკუთრებით მისი საქმიანობის საბჭოთა პერიოდს. ჯერ კიდევ 1957 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა გამოუშვა „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილი.

მას შემდეგ თითქმის ექვსი წელი გავიდა, მაგრამ მუშაობა „ნარკვევების“ მეორე ნაწილზე, რომელიც გაცილებით მეტ ინტერესს წარმოადგენს, დღემდე არ არის დამთავრებული. ინსტიტუტის კოლექტივი შეუწყნარებლად აჭიანურებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ნამდვილად შემოქმედებითი უნდა გახდეს, საჭიროა ბოლომდე აღმოიფხვრას მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, შიში ახლის წინაშე, დაზეპირებული ფორმულებით აზროვნების მავნე ჩვევა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების ძირითადი ამოცანაა აამაღლონ სამეცნიერო-იდეოლოგიური მუშაობა, მისი ქმედითობა, გადააქციონ იგი კომუნისტური მშენებლობის მძლავრ, მუდმივმოქმედ ფაქტორად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი, რომ ახალი ადამიანის აღზრდაში, კომუნისტური კულტურის ფორმირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას. პლენუმმა მხურვალედ მოიწონა იდეები და დებულებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში შემოქმედებითს მუშაკებთან შეხვედრებზე და რომლებიც გამოხატავენ ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

პარტიამ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და ხალხურობის, ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის განმტკიცების, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და გამდიდრების საკითხები. პარტია ლიტერატურასა და ხელოვნებას განიხილავს არა მარტო როგორც ცხოვრების შეცნობის დიდმნიშვნელოვან საშუალებას, არამედ აგრეთვე როგორც მისი გარდაქმნის ფაქტორს, ბასრ იარაღს ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ მან მკვეთრად დაგმო და გააკრიტიკა მცდარი ტენდენციები, იდეური მერყეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

საქართველოს მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას, რომ უფრო მიუახლოვდნენ სინამდვილეს, თავიანთი შემოქმედებისათვის მასალა ეძებონ ხალხის ცხოვრებისა და შრომის სიღრმეებში.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში აშკარად ისახება მისწრაფება ცხოვრებისეულ მოვლენათა ფართო მხატვრული განზოგადებისადმი, თანამედროვე ადამიანის მკაფიო, დასამახსოვრებელი სახეების შექმნისადმი. ჩვენმა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებმაც მკითხველთა ფართო გამოხმაურება ჰპოვა თავისი მაღალი იდეალებითა და მხატვრული ღირსებით.

ქართული ლიტერატურის სახელგანთქმულ ოსტატებთან ერთად აქტიურად შრომობენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები და პროზაიკოსები. ჩვენი მოვალეობაა გულისხმიერად, ყურადღებით აღვზარდოთ ახალგაზრდა მწერლები, დავეხმაროთ მათ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებაში, მათი შემოქმედება წარგმართოთ ხალხისადმი სამსახურისათვის.

იდეოლოგიურ თათბირებზე არაერთგზის აღინიშნა, რომ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები ნაკლებად ამუშავებენ სოციალისტური ლიტერატურის განვითარების საკითხებს, სუსტად ავლინებენ ბურჟუაზიული ხელოვნებისა და ლიტერატურის ანტიხალხურ არსს. ლიტერატურული ჟურნალები და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ყოველთვის როდი იჩენენ პრინციპულობას ცალკეულ ნაწარმოებთა შეფასებაში. არის ხოლმე შემთხვევები, როცა ზედმეტად ასხამენ ქებას მხატვრულად სუსტ ნაწარმოებებს, გვერდს უვლიან ცალკეულ ავტორთა აშკარად ფორმალისტურ დასკვნებს. ზოგჯერ არის იდეური ხასიათის შეცდომებიც.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, რომელმაც უკანასკნელ ხანს რამდენადმე გააუმჯობესა შუშაობა, დაიბეჭდა ს. ირორამაშვილის სტატია მეტად უცნაური სათაურით: „შეცდომა, რომელიც გამოიწვია ასო „ს“-ს დაკარგვამ“. ეს სტატია გამსჭვალულია პროვინციული კუთხურობის სულისკვეთებით. ავტორი სტატიაში იმასაც კი ამბობს, რომ თითქოს არსებობდეს დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული ლიტერატურული ენები, „დასავლეთელი“ და „აღმოსავლეთელი“ მწერლები.

არანაკლები განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ გაზეთმა დაბეჭდა ალიო მირცხულავას მანკიერი პიესის „ვნების კვირის“ მესამე მოქმედება. ამ პიესაში ავტორმა არსებითად ცილი დასწამა ისეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას რესპუბლიკის ცხოვრებაში, როგორიც იყო მეღვინეთა მსოფლიო კონგრესი.

როცა ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების გზებს ვეხებით, სერიოზული პრეტენზიები უნდა გამოვთქვათ ჩვენი თეატრების რეპერტუარის მიმართ. ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური მუშაკები არაერთგზის გაგვიკრიტიკებია იმის გამო, რომ სუსტად ასახავენ საბჭოთა სინამდვილეს. რომ რეპერტუარში ჭარბობს საზღვარგარეთელი ავტორებისა და კლასიკოსების პიესები. ხომ არ არის დრო, რომ ამ კრიტიკიდან შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ? ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ ჩვენი თეატრების ხელმძღვანელებს, რომ თეატრის რეპერტუარი. მისი იდეური მიზანმიმართულება და მხატვრული ღირსება უწინარეს ყოვლისა ემსახურება დიდ საქმეს — მასების კომუნისტურ აღზრდას.

რას ესწრაფოდა, მაგალითად, რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც დადგა გაჩეჩილაძის პიესა „ამირანი“? ამ პიესის დადგმა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. ბუნდოვანია პიესის იდეა, თვითონ დადგმა, რეჟისურა განცვიფრებას იწვევს, და დასანანია, რომ მსახიობთა ნიჭი, ტემპერამენტი ამაოდ იკარგება.

იდეოლოგიური მუშაობის შესახებ რესპუბლიკურ თათბირზე დაწვრილებით შევეხეთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საქმიანობას ახასიათებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურად განიხილა კინოსტუდიის შუშაობის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დასკვნა, რომ სტუდიის იდეურ-თემატური პოლიტიკა არ შეესაბამება საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე მდგომ მოთხოვნებსა და ამოცანებს. ბევრი ფილმი, რომლებსაც სტუდია უშვებს, ეხება წვრილმან თემებს, იდეურად სუსტია, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ მიუღებელია. სტუდიაში უხეშად არღვევდნენ საწარმოო და საფინანსო დისციპლინას.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტი, როდესაც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა, და სტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ხელმძღვანელობა შეძლებენ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას და მისცემენ ხალხს მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ კინოფილმებს.

სულ ცოტა დრო გავიდა მარტის შეხვედრის შემდეგ, მაგრამ დღეს უკვე ვხედავთ, თუ როგორ შეიცვალა ვითარება თვით შემოქმედებითს ორგანიზაციებში, როგორ ამაღლდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა აქტივობა. რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებმა ერთსულოვნად და მხურვალედ დაუჭირეს მხარი მხატვრული შემოქმედების მცდარი ტენდენციების კრიტიკას. მათ მიიჩნიეს. რომ ეს კრიტიკა ახალი გამოხატულებაა პარტიის ზრუნვისა ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, საბჭოთა საზოგადოების მხატვრული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა ლიტერატორები, კომპოზიტორები, მხატვრები, კინოსა და თეატრის მოღვაწეები შექმნიან ახალ, კომუნიზმის მშენებლობის დიდი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები—ამხანაგები მ. ა. სუსლოვის, ბ. ნ. პონომარიოვის, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში მოცემული იყო ერთი მხრივ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და — მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებს შორის არსებულ უთანხმოებათა არსი. დადგენილებაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“ პლენუმმა სავსებით და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პოლიტიკური საქმიანობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემდგომი შეკავშირებისათვის, აგრეთვე ყველა კონკრეტული მოქმედება და ღონისძიება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პოლიტიკური საქმიანობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემდგომი შეკავშირებისათვის, აგრეთვე ყველა კონკრეტული მოქმედება და ღონისძიება, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში. პლენუმმა დაადასტურა მთავარი პრინციპები, რომლებითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი იხელმძღვანელებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან მომავალი მოლაპარაკების დროს.

ჩვენი პარტია, ამხანაგებო, მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ, ღირსეულად ასრულებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდის როლს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი მუდამ ერთგულია ლენინური მოძღვრებისა, ლენინური შეურიგებლობით იბრძვის რევოლუციური თეორიის სიწმინდისა და მისი გაბედული შემოქმედებითი განვითარებისათვის. პარტია ყვალფერს აკეთებს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა განამტკიცოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ამხანაგებო! ჩვენ მტკიცედ მივდივართ წინ კომუნიზმის გზით.

ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით სულ ახალ და ახალ მიჯნებს აღწევს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. წლითიწლობით სულ უფრო ახლოვდება სანუკვარი მიზნები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი აღწევს თავისი დიადი ბრძოლით. ჩვენ დიად საქმეთა ეპოქაში ვცხოვრობთ, ვართ გაბედული რევოლუციური გარდაქმნების მონაწილენი. კომუნისტების დიად პარტიას საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ. გავა საუკუნეები, და შთამომავალნი ჩვენი დროის ადამიანებზე განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით ილაპარაკებენ, როგორც ადამიანებზე, რომლებიც ბედნიერი, ნათელი მომავლის გზას უკვალავდნენ მთელ კაცობრიობას.

ეს გზა ადვილი როდია, საბჭოთა ხალხს ამ დიადი ლაშქრობის დროს ბევრი სიძნელის გადალახვა უხდება, მაგრამ არ არის ისეთი სიძნელე, რომელიც ვერ გადალახოს საბჭოთა ხალხმა, გამარჯვებულმა ხალხმა, გიგანტმა ხალხმა.

კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის ისტორიულ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც ლენინის უკვდავი იდეების სინათლით გააცისკროვნა ეს გზა, ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული ამოცანებით შეაიარაღა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, განსაზღვრა მათი ადგილი, მათი როლი ახალი ადამიანის — ახალი სამყაროს მშენებლის აღზრდისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მხურვალედ მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა. და სავსებით უეჭველია, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, ასრულებენ რა სკკპ პროგრამას, პარტიის XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ძირეულად გააუმჯობესებენ იდეოლოგიურ მუშაობას, კიდევ უფრო აამაღლებენ ხალხის შემოქმედებითს აქტივობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სადიდებლად!

ალვგარდოთ მშრომელები კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია უზრუნველვყოთ სკკპ პროგრამის განხორციელება და კომუნიზმის იდეალების გაძლიერება. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა პლენუმის ყველა მონაწილის ფასდასმას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, აღნიშნავდნენ ორატორები, დიდი მოვლენაა პარტიისა და ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პლენუმზე მკაფიოდ გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ლენინური სტილი და მეთოდები. სიამაყით ლაპარაკობდნენ ორატორები ჩვენს ლენინურ პარტიაზე — ხალხის ნაკად ბელადსა და ორგანიზატორზე, რომელსაც მტკიცედ უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, — თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ი. ფრუთიძემ**, — გულდასმით განიხილავენ პარტიული ორგანიზაციები, მუშების, მშენებლების, მეცნიერების კოლექტივები, კულტურის მოღვაწეები და ყველანი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ ამ გადაწყვეტილებებს. პლენუმის გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებენ მშრომელებს ახალი თავდადებული საქმიანობისათვის სამშობლოს სადიდებლად.

თბილისელი მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით ლაპარაკობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობაზე, რომლის მიზანია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების შემდგომი განმტკიცება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, იწონებენ კონკრეტულ მოქმედებას და ღონისძიებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში.

თბილისში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღტაცებაა. საქართველოს დედაქალაქის მრეწველობამ 27 ივნისისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით დაახლოებით 10 მილიონი მანეთის სხვადასხვა ნაწარმი მისცა. შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად დაგროვების გეგმა მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა, ფულადი გამოხატულებით მან ოთხ მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა. ასეთსავე თანხას შეადგენს დანაზოგი, რომელიც პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღეს.

ამხ. ფრუთიძემ დაწვრილებით ილაპარაკა იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაზე, რომელსაც ქალაქის პარტორგანიზაცია ეწევა. ამ მუშაობაში ჩაბმულია დაახლოებით 5 ათასი პროპაგანდისტი და ლექტორი, 20 ათასი აგიტატორი, ფართოდ გავრცელდა აღმზრდელობითი მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე. პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ კომუნისტებისა და უპარტიოების სისტემატური და გეგმაზომიერი სწავლებისათვის. გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემის ყველა რგოლში ჩაბმული იყო დაახლოებით 100 ათასი კაცი, რაც 18 ათასით მეტია შარშანდელთან შედარებით.

მაგრამ ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში არა გვაქვს ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც არ ასრულებენ გეგმებს და წუნდებული ბროდუქციის უშვებენ, გეხდეს ტექნიკისა და მოწყობილობისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები. ესა და სხვა მოვლენები იმის მოწმობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყოფთ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობას წარმოების კონკრეტულ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

იშვიათად როდი ვლინდება ფორმალიზმი პარტიულ პროპაგანდასა და პოლიტიკურ აგიტაციაში. ხშირად ეს პროპაგანდა და აგიტაცია მოწყვეტილია ცხოვრებას.

სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის ფაქტები — ლოთობა, ხულიგნობა, სპეკულაცია და სხვა ამორალური მოვლენები იმაზე მეტყველებენ, რომ საჭიროა უფრო კარგად ვიმუშაოთ მშრომელთა კომუნისტური იდეურობის, პატიოსნებისა და გულმოდგინეობის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირზე აღინიშნა, რომ ნაკლოვანებანი და ხარვეზებია ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, კინემატოგრაფისტების მუშაობაში. ყოველი ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ შემოქმედებითი კავშირებისა და დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის დონე, მივაღწიოთ იმას, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მშრომელთა, განსაკუთრებით მოსწავლე და მუშა ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა **დ. ვ. გოგოხია** აღნიშნა, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს მუშაობა კომუნისტური აღზრდისათვის, უზრუნველყვეს მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ზრდა, საწარმოო გეგმების შეასრულება.

მიმდინარე წლის არაფლისყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებებს აღწევენ უხვი მოსავლიანობის ბრძოლაში. საწარმოებში გაიშალა შეჯიბრება კომუნისტური შრომისათვის. შეჯიბრების პროცესში წარმოიშობა მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყება, რომლებიც ამაღლებენ თვითეული მშრომელის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში ნერგავენ ახალ ფორმებს, ახლებურად უდგებიან მთელი რიგი საკითხების გადაჭრას. ამ მხრივ საგულისხმოა კულტურის უნივერსიტეტები, მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებში, საკალაქო კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოთა პარტკომებში შექმნილი იდეოლოგიური კომისიების მუშაობა.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ბალის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც დაიწყეს მეკანიზატორთა კადრების მომზადება საზოგადოებრივ საწყისებზე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მექანიზაცია სულ უფრო ფართოდ ინერგება სუბტროპიკულ მიწათმოქმედებაში.

აფხაზეთში ბევრი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, მხატვარი, კომპოზიტორი მუშაობს.

ამ ბოლო დროს ჩვენში შეიქმნა ბევრი კარგი მხატვრული ნაწარმოები, რომლებიც სამართალი ასახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები მართავენ კოლმეურნეობებსა და საწარმოებში საინტერესო შემოქმედებითს საღამოებს, რომლებიც გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მოოვაწე თავის შემოქმედებაში ხშირად ჩამორჩება ცხოვრებას, მათი ნაწარმოებები სუსტია მხატვრული თვალსაზრისით, ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებს. ყოველივე ამის შესახებ გულახდილი სიტყვა-ბაასი გამართა აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის კრებაზე. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიის ხზ., რომელიც იცავს მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. კ. ხარაძემ** აღნიშნა, რომ იდეოლოგიის საკითხები უპირველესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მუშაკებისათვის, ეხმარება მათ სწორად გადაჭრან ახალგაზრდა მეცნიერი კადრებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის პრობლემები.

თბილისის უნივერსიტეტი რესპუბლიკის მსხვილი სამეცნიერო ცენტრი და უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც 12 სახეობისმეტყველ — მათემატიკურ და ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აერთიანებს 11 ათას სტუდენტსა და ათასზე მეტ პროფესორს, მასწავლებელსა და ასპირანტს. რექტორატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ჯერ-ჯერობით ისახავენ ყოველმხრივ განვითარებული, კვალიფიციური, სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული სპეციალისტების მომზადებას. მოეწყო შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შემოქმედებითი ინტელიგენციის შეხვედრის მონაწილეებთან, მოეწყო აგრეთვე საქართველოში რუსული პოეზიის დეკადის მონაწილეთა შეხვედრა უნივერსიტეტის კოლექტივთან. რეგულარულად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობენ მომავე რესპუბლიკათა სტუდენტები. კომკავშირელები უშვებენ თანამედროვეობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ ზეპირ ჟურნალებს. მომდინარეობს მზადება თბილისის, ერევნისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების მეგობრობის დღის ერთობლივად მოწყობისათვის. სტუდენტები სულ უფრო ფართოდ ებმიანან კათედრების სამეცნიერო მუშაობაში, თვით კათედრები კი ყოველმხრივ ეხმარებიან ცხოვრებას დაუახლოონ მეცნიერული ინტერესები და მუშაობის შედეგები.

მაგალითად, ფიზიკური პროფილის კათედრები იკვლევენ ნახევარგამტარების მთელ რიგ თვისებებს. ეკონომიკის ფაკულტეტის კათედრებმა შეიმუშავეს ანგარიშგების ახალი სისტემა, რომელიც საქართველოს კოლმეურნეობებში ინერგება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალ ამოცანებს უსახავენ მეცნიერებასა და უმაღლეს სკოლას. იზრდება მეცნიერების როლი არა მარტო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, არამედ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის იდეურ-მორალურ ჩამოყალიბებასა და აღზრდაში. საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ავტორიტეტი და როლი უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლება ისე უნდა წარმართოთ, რომ შევაიარაღოთ სტუდენტები ცოდნით, ჩაეუნერგოთ მათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე დაფუძნებული მტკიცე რწმენა, აღვზარდოთ სტუდენტი ახალგაზრდობა კოლექტივიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული სტუდენტი პირველ რიგში საზოგადოების ინტერესებს აყენებდეს.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია და იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **დ. ბ. თებიძემ**, — ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ აამაღლონ იდეოლოგიური მუშაობის დონე, დარაზმონ მშრომელები პარტიის დიად წინასწარმეტყველთა წარმატებით განხორციელებისათვის.

აჭარის მრეწველობამ ნახევარი წლის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა. ათობით საამქრო და ბრიგადა ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებას, ორი ათასი მშრომელი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ბევრი კოლექტივი და წარმოების მოწინავე იბრძვის ამ საპატიო წოდებისათვის.

წლევანდელი გაზაფხული სერიოზული გამოცდა იყო საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებისათვის. ხანგრძლივმა წვიმებმა დააყოვნა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. ცუდი ამინდის მიუხედავად, მათ გადალახეს სიძნელენი და ახლა მაღალი ტემპით კრეფენ მოსავალს. მალე მივაღწევთ გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. უკვე მოკრეფილია 15.100 ტონა ნარისმოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 58,4 პროცენტს შეადგენს. ორატორი პირობას აძლევს პლენუმს, რომ აჭარელი მეჩაიეები წელსაც წარმატებით შესრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. გადავწყვიტეთ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 5.100 კილოგრამამდე გავზარდოთ.

ეს წარმატებანი იმ ნაყოფიერი იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის შედეგია, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები იწევენ.

ჩვენ ავიღეთ გეზი, — თქვა ამხ. თებიძემ, — რათა აუამოქმედოთ იდეური აღზრდის ყველა საშუალება თვითეულ დასახლებულ პუნქტში. ეს მით უფრო დიდმნიშვნელოვანია, რომ არის ხშირი შემთხვევები, როცა ქალაქის ან სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი რჩება იდეოლოგიური ზემოქმედების გარეშე, როცა საგაზეთო მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი ჯერ-ჯერობ ყურადღებას არ აქცევს შშრომელთა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ორატორმა აღნიშნა ის მიზანმიმართული, დიფერენცირებული ღონისძიებანი, რომლებსაც აჭარის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **ი. ბ. აბაშიძე**. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, — თქვა მან, — უდიდესი მოვლენაა არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებაში, პიროვნების კულტის მხილებამ და მისი შედეგების ლიკვიდაციამ გაწმინდა ბანი ხალხის სულიერი ცხოვრების ახალი აღმავლობისათვის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთელი ისტორია უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადასტურებს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიების შშვიდობიანი თანაარსებობის ვერავითარი ქადაგება ვერ მოსწყვეტს ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას ხალხის ინტერესებისაგან. ქართული საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის იყო თავისი ხალხოსანი ტრადიციების, ხალხურობისა და პარტიულობის, სოციალისტური რეალიზმის ერთგული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე იდგა, იყო მწერალთა და ხელოვნების სხვა მუშაკთა შემოქმედებითი ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი. ამ წინადადებას, რომელიც წამოაყენა ამხ. ლ. ნ. ილიჩოვმა, მხარი დაუჭირა პლენუმის ბევრმა მონაწილემ. საბჭოთა კავშირის მწერალთა ორგანიზაციის სამდივნომ, რომელიც პლენუმის მეორე დღეს შეიკრიბა, აგრეთვე მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი გაერთიანება და აღიარა, რომ იგი ხელს შეუწყობს მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების შემოქმედებითი მოღვაწეობის გაქტიურებას.

იმედი გვაქვს, რომ ეს გაერთიანება უფრო აამაღლებს მწერალთა საზოგადოებრივ აქტივობასა და ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეურ აღზრდასა და ზრდას.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შემოქმედებითი ინტელიგენციის შეხვედრებმა კიდევ ერთხელ ცხადყო სოციალისტური რეალიზმის ცხოველმყოფელი ძალა, საბჭოთა მწერლების მისწრაფება შექმნან თანამედროვეის, კომუნიზმის გმირი მშენებლის ღირსეული სახე.

საქართველოს მწერალთა საზოგადოებრიობა ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტ

ალვგარდოთ მშრომელები კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით

(დასასრული)

და ახლაც მიდის ერთ მწყობრში მამებთან და უფროს ძმებთან ერთად და მუდამ მაღლა უჭირავს ჩვენი უძლეველი დროშა.

უნდა თქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი გაკეთებული გამოუყენებელი შესაძლებლობანი და ნაკლოვანებანი. აკა-იქ ჯერ კიდევ იჩენს ხოლმე თავს ფორმალიზმი, მხოლოდ იმის ცდა, რომ აღნიშნონ შესრულება გეგმაში. ზოგჯერ ახორციელებენ საერთო ღონისძიებებს და ავიწყდებათ ინდივიდუალური მუშაობა, ადამიანი. ჩვენი ამოცანაა ისე წარვმართოთ აღმზრდელობითი მუშაობა, რომ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს არც ერთი ადამიანი, აღმოვფხვრათ მის შეგნებაში ყოველივე ის, რაც არ შეესაბამება კომუნიზმის მშენებლისა და ყველაზე მოწინავე არმიის მეომრის ქცევის ნორმებს.

თავისი გამოსელის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ი. კუჭავამ** ხაზი გაუსვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობა გამსჭვალული იყო ლენინური ზრუნვით მარქსისტულ-ლენინური რეფორმაციული თეორიის სიწმინდისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის, ბრძოლაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ მშრომელების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ჩვენი ოლქის მშრომელები, თქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ბ. დ. თედეევმა,** ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს შეეგებნენ უდიდესი კმაყოფილების გრძნობით. კომუნისტებმა, უპარტიოებმა ერთსულოვნად მოიწონეს ის ზაზი, რომელსაც აზორციელებს პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძალთა შემდგომი შემჭიდროებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ოლქის მრეწველობის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის პროდუქციის საბლიკაციას, საგამომცემლო საქმიანობის დონის ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი შრომების გამოქვეყნებას, რომლებიც ეძღვნება შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში.

იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. უკანასკნელ ხანს აკადემიის მიერ გაერთიანებული ინსტიტუტების საქმიანობაში დიდი ცვლილებები მოხდა: მათი თემატიკა მიუახლოვდა თანამედროვეობას.

დადებითს ცვლილებებთან ერთად ერთგვარი ჩამორჩენაც გვაქვს. მხედველობაში მაქვს მეცნიერების ახალ მიმწოვავთა არასაკმაო გამოყენება სახალხო მეურნეობის მართვასა და დაგეგმვაში, ესეიგი მანქანური მათემატიკისა და კიბერნეტიკის მეთოდების გამოყენება ამ მიმართულებით.

ქალაქ ქუთაისის მშრომელები — კომუნისტები და უპარტიოები აქტიურად განხილავენ და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასა და მასალებს. პარტიულ ორგანიზაციებს მიანიშნათ, რომ სკკპ პროგრამის იდეებით გამსჭვალული ეს დოკუმენტები, — თქვა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **შ. ს. კობახიძემ,** — საშუალებას იძლევა გადაიჭრას კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო უნარიანად იყენებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, მჭიდროდ უკავშირებენ ერთმანეთს ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას, იბრძვიან პარტიული პროპაგანდის სფეროს გაფართოებისათვის.

მიმდინარე წელს პარტიული განათლების სისტემაში პოლიტიკური მომზადების დონეს იმაღლებდა 11 ათასზე მეტი კაცი. უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ, მეტი ყურადღება ეთმობა კადრების ეკონომიურ მომზადებას. სამი ათასზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი სწავლობდა ეკონომიური თეორიისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს გასულ სასწავლო წელს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იდეოლოგიური მუშაობის დონე განისაზღვრება პრაქტიკული შედეგებით, ძირითადი ეკონომიური ამოცანების განხორციელებით. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მრეწველობამ ხუთი თვის დავალება 105,7 პროცენტით შეასრულა, სამშობლოს მისცა თითქმის 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

იმის შედეგად, რომ ფართოდ გაიშალა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, დიდად განვითარდა მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. 74 ბრიგადას, 10 ცალს, 8 უბანს, 5 სამმეროს უკვე მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. საწარმოებში უკვე არის კომუნისტური შრომის დაახლოებით ათასი დამკვრელი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას მშრომელთა აღზრდას დადებითი მაგალითებით. ნოვატორთა და კომუნისტური შრომის ადამიანთა ინიციატივა ყოველთვის როდი პოულობს ჯეროვან ხარდაჭერას. საწარმოოროდ, ზოგიერთ საწარმოში სჯერდებიან საჯარო დაპირებებს, ხოლო ამ დაპირებათა შესრულებაზე ხაკლებად ზრუნავენ.

ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, შრომაზე, სწავლაზე, პატრიოტულ საქმეებზე ილაპარაკა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ე. ჩერქეზიამ.**

ყველაფერში, რითაც ამაყობს ჩვენი რესპუბლიკა, რაც მშრომელებმა აამენეს და შექმნეს, ჩვენი ახალგაზრდობის, კომკავშირის წვლილიც არის, თქვა ო. ე. ჩერქეზიამ. ენგურისა და ჭიათურის მშენებლობებზე, თბილისსა და რუსთავის ქარხნებში, ალაზნისა და კოლხეთის ნაყოფიერ ყანებში, ბაღებში, პლანტაციებში თავდადებით შრომობენ ჩვენი შესანიშნავი ქალიშვილები და ჭაბუკები.

მათი წარმატებანი განპირობებულია ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი იდეურობით, მისი კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებით. ისინი გამოთქვამენ მადლიერების გრძნობას ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც შრომითა და ბრძოლით მოიპოვეს ჩვენმა მამებმა და უფროსმა ძმებმა, გამოთქვამენ დიდ მადლობას დიადი კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც კომუნიზმისაკენ მიგვიძღვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის ახალგაზრდობის ორგანიზაციები განხილულად იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით მთელ თავიანთ საქმიანობაში. ახალგაზრდობასთან იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება უნდა წარმოვიგზეს ყველა ხაზით და, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანების შრომითი აღზრდა.

ამ მიმართულებით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს. როგორც მაგალითი, შეგვიძლია დავასახელოთ თბილისის ახალგაზრდობის მოძრაობა სამრეწველო საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს ინიციატივა გორის საწარმოო სამმართველოს კომკავშრომელებისა და ახალგაზრდობისა, რომლებმაც გამოაცხადეს ლაშქრობა ბაღების დაავადებათა და მავნებელთა ლიკვიდაციისათვის. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს მებაღეობის ყველა რაიონის ახალგაზრდობამ.

ჩვენ ულმობლად ვიბრძვით მუქთახორების, უსაქმურების, კერძომესაკუთრეული იდეოლოგიით გამსჭვალული ადამიანების წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევუურგდეთ ჯერ კიდევ ზოგან არსებულ შერვიგებლობითს დამოკიდებულებას ასეთი სამარცხვინო მოვლენებისადმი.

ჩვენ გვაქვს აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობა: კლუბები, კულტურის სახლები, სპორტული ნაგებობანი, მუზეუმები. მაგრამ მთ ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ.

აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირის მთელი საქმიანობის ქვაკუთხედია. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროპაგანდის ახალ ფორმებს. ფართო ხასიათი მიეცა კითხვა-პასუხის საღამოებს, დისპუტებს, თეორიულ კონფერენციებსა და სემინარებს, თემატურ საღამოებს, ზეპირ ჟურნალებს, კინოს.

საქართველოს 390-ათასიანი კომკავშირის სახელით ამბ. ჩერქეზიამ აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **გ. ე. ახაურაშვილმა** ილაპარაკა იმაზე, რომ კარგად დაყენებული იდეურ-პოლიტიკური მუშაობის პირდაპირი შედეგი უნდა იყოს მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდა, მაღალი საწარმოო მაჩვენებლები. როგორც მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“. აქ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით სამუშაოდ წავიდნენ უშუალოდ ბრიგადებსა და ფერმებში. ამ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ მთელ რესპუბლიკაში.

პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. ახლა სოფლის მეურნეობის მშრომელთა მთელი მეცადინეობა იმას ხმარდება, რომ გაადიდონ ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი, წელს 3.080 ჰექტარი ახალი ვენახები უნდა გაშენდეს. ვენახების საერთო ფართობი ამის შემდეგ 12 ათას ჰექტარს მიაღწევს. პარტიულ კრებებზე, ყველა ფორმის პოლიტიკური განათლების მეცადინეობებზე, ეკონომიურ სკოლებსა და წრეებში სოფლის მშრომელებს განუმარტავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეექვსეხუთიანს ჩვენი სამმართველოს კოლმეურნეობათა ეკონომიკის განვითარებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობა კადრების ეკონომიური განათლების სწორ ორგანიზაციას. განვლილ სასწავლო წელს ეკონომიური სწავლება წარმოებდა 22 წრეში და თეორიულ სემინარებზე, დაწყებითი ეკონომიის წრეებში, რომლებშიც გაერთიანებული იყო 1.700-ზე მეტი კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშა. მოიწყო მთელი რიგი თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, შეხვედრები საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ჩვენი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, იდეოლოგიურ მუშაობაში ნაკლოვანებანი რომ არ გვქონდეს. სხვა მხრივ არაფრით არ შეიძლება აიხსნას ისეთი მდგომარეობა, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, უპირატესობას ანიჭებს მუშაობას საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებში.

ტრიბუნაზეა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, კომპოზიტორი **ო. ვ. თაქაიშვილი.** იგი ლაპარაკობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ლენინური პარტიის იდეოლოგიის სრულ გაბრწყინებაზე, იდეოლოგიისა, რომელიც როგორც ჩირაღდანი გვინათებს გზას, გვიღებს ადამიანისათვის დღემდე მეუწვდომელ ახალ სამყაროთა კარს. ჩვენი შესანიშნავი საგმირო საქმენი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის მეოხებით, რომლის საფუძველზეც ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის მეგობრობა.

ორატორი შეეხო ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებითს ურთიერთობას. ჩვენ ვიცოდით, რომ კომპოზიტორები ... [illegible] ... ერების ინიციატორები. ეს, კერძოდ, შეეხება „ამიერკავკასიის გაზაფხულს“, რომელიც ჩვენი ინიციატივით ეწყობა.

სხვადასხვა პროფილის შემოქმედებითი მუშაკების — მხატვრების, რეჟისორების, მსახიობების, კომპოზიტორების დაახლოება საარსებოდ საჭიროა. ამიტომ ჩვენ სავსებით გუნჭერთ მხარს წინადადებას სხვადასხვა პროფესიის შემოქმედებით მუშაკთა გაერთიანების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმამშინაარსიანი სიტყვა მოუწოდებენ შემოქმედებითს მუშაკებს კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ ხალხის ცხოვრებასთან, ფიქრებთან და მისწრაფებებთან.

ამბ. თაქაიშვილი თავის გამოსვლაში შეეხო იმ საკითხს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მუსიკალური განათლების გაუმჯობესება საშუალო სკოლაში, აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის. უფრო მეტი უნდა გამოვუშვათ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მაგრამ მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც მშრომელთ და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“ და მიიღო ისინი განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმისაკენ, აღნიშნულია დადგენილებაში, იმიტომ რომ იგი წმიდად იცავს ერთგულებას ლენინური მოძღვრებისადმი, ადგას ლენინურ გზას, მეურიგებლად იბრძვის რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის, ზრუნავს მისი განვითარებისათვის. პლენუმმა უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთსულოვნად მიიღეს კომუნისტური და მეშმათა პარტიების თათბირებმა მოსკოვში 1957 და 1960 წლებში, აგრეთვე ხაზს, რომელიც პარტიამ მიიღო სკკპ XX, XXI, XXII ყრილობებზე და რომლის სისწორე სავსებით დადასტურა ცხოვრებამ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების პრაქტიკამ და საერთაშორისო მოვლენების მიმდინარეობამ. პლენუმის მონაწილეებმა აღუთქვეს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები არ დაიშურებენ ძალოენერგია და შრომას იმისათვის, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მიაღწიონ იდეოლოგიური მუშაობის ახალ აღმავლობას.

პლენუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა მოწვეულ იქნას 1963 წლის 24 დეკემბერს. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ცეკავშირის მუშაკთა აქტივის კრება

4 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის კრება. აქტივის კრებამ განიხილა საკითხი. „საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში 1963 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობა და გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერება“. მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამბ. **ნ. ჯავახიძემ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამბ. **ვ. გაზიევმა,** ლაზარიანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამბ. **დ. სიბაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების კომიტეტის ... [illegible] ... **ბ. ... ...** [illegible] ... **ბ. ... ...** [illegible] ... **ბ. ... ...**